MES 1 23 0001757597

25/12/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი, საბჭოს სხდომის თავმჯდომარე;
მორის დანდურიშვილი - სსიპ - ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

3.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლა
მაკა თხელიძე - დირექტორი
ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ლენტეხი სწმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია
სტეფანე კალაიჯიშვილი - დირექტორი
სსიპ - ილი აშავერდოშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისლის საჯარო სკოლა
კონსტანტინე ცხოვრებაძე - დირექტორი
სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლა
ზურაბ ვანაძე - სკოლის წარმომადგენელი
სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა
მიმოზა მაისურაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლა
სვეტლანა ბოჩიკაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლა
თამარ კობახიძე - დირექტორი
სსიპ - ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლა
მედიკო მერზაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლა
კობა ბარდაველიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლა
კლარა ზედგინიძე - დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის N191 საჯარო სკოლა
თინათინ ბაქრაძე - დირექტორი.

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლა

ა) ია ქურიძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო მალანია - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა დუგლაძე - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) აკაკი სადუნიშვილი - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ე) ხათუნა ფანცულაია - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით კიკაბიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მეგი კაპანაძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) თეა გაბისონია - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ციცინო თორია - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია

ა) ელენე კალანდაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ ჯაფარიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თეა მათითაიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამთა პეტრიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩახვაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნიკოლოზ ჩუბინიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) სერგო დურგლიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

სსიპ - ილია შავერდოშვილის სახელობი სყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისლის საჯარო სკოლა

ა) ირმა ხუციშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) იზაბელა იოსელიანი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მაია ქევხიშვილი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო კილაძე - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ე) ლალი ლალიაშვილი - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო ზირაქაძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ თეა ღვინიანიძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) სოფიო ხვადაგიანი - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნატო გერგაია - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ინაშვილი - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლა

ა) თამარ აბაზაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) სოფიო გაგოშაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) თამარი ოღლიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) იოსები ლაზარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ბლუაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა

ა) ლიანა კობესაშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლანა ყურაშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა ავალიანი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნანა მარღანია - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ე) თაია მამარდაშვილი - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით კიკაბიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნინო მარღიშვილი - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) თამარ ოძელაშვილი - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ჯულიეტა ტაბეშაძე - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევანი ბორაშვილი - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან ცირეკიძე - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლა

ა) ლანა ყურაშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო გედეხაური - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო შუბლაძე - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნონა ხომასურიძე - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ე) თამარ ჩალახეშაშვილი - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ წულუკიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნათია გაგნიძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) ლია ცერცვაძე-ცუცქირიძე - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლალი აბულაძე - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნატო ხაჭაპურიძე - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლა

ა) თეა გაბელაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

ბ) მზია გელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მაია ქევხიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ციალა ჩიტია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ანანო შანავა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლია ციცქიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ინაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლა

ა) რაინდი როდონაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) გიორგი მოდებაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნანა სონღულაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ელენე ოგბაიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარინე შანშიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ჩილინგარაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ევგენი გუგულაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლა

ა) თამთა კობახიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლელა ცარციძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ფიქრია მუმლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკა სიმსივე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო თამარაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თეონა ჯაფარიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაია სიხარულიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლა

ა) ნინო ვასაძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო ჩიტაძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მარინე ბაგალიშვილი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დ) დავით ბოლქვაძე - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ე) ზურაბ ურიადმყოფელი - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით კიკაბიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩიტაძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) როლანდ ხოჯანაშვილი - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირმა შველიძე - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მურად ფახურიძე - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ინაშვილი - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N191 საჯარო სკოლა

ა) თეა ელერდაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ია სოხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თეა მათითაიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარი ჩიმაკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნინო მარღიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლელა კვირტია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) გიორგი ბერძულიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 13 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილია შავერდოშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. სსიპ - ქალაქ თბილისის N191 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. **სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია ქურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 12 და 13 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთაში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული

რაოდენობა შეადგენდა 240 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლის მოსწავლეთა ბაზაში ირიცხებოდა 105 მოსწავლე. ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმებოდააღნიშნულ მოთხოვნას, რადგანსკოლის ბალანსზე ირიცხებოდა სასწავლო პროცესისთვის ვარგის მდგომარეობაში არსებული 150 სასკოლო მერხი და სკამი.

ექსპერტმა, ია ქურიძემ განმარტა, რომ მე-2 და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს"; პირველი სტანდარტი შეფასდა „მეტწილად",კომპონენტები 1.1 (სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები) და 1.2 (სკოლის დაგეგმვა და განვითარება) ასევე შეფასდა „მეტწილი" შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მე-3 სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო ნაწილობრივ შესაბამისად, კომპონენტები 3.1 (პერსონალის მართვა); 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება); 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა); 3.6 (საინფორმაციო რესურსები) და 3.7 (ფინანსური რესურსები) შეფასდა „მეტწილი" შესაბამისობით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი" შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი ზვიად გოგუაძე დაინტერესდა, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, რატომ არ ჰყავდა სკოლას მრჩეველთა საბჭო შექმნილი.

სკოლის დირექტორმა, მაკა თხელიძემ განმარტა, რომ ის იყო სკოლის ახლად არჩეული დირექტორი. მან დასძინა, რომ სკოლაში მრჩეველთა საბჭო ნამდვილად არ ფუნქციონირებდა, აღნიშნული ორგანო სკოლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იქიდან გამომდინარე, რომ სკოლას არ ჰყავდა მანდატური და სკოლა აცნობიერებდა ამ მდგომარეობას.

საბჭოს წევრმა მორის დანდურიშვილმა სკოლას ურჩია, გადაეხედათ და შესწორება შეეტანათ მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, კერძოდ, სკოლის შემუშავებულ დოკუმენტშიიყო ჩანაწერი, რომ მასწავლებელი აუცილებლად უნდა ცხოვრობდეს იმ ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც მდებარეობდა სკოლა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ეს გახლდათ ხარვეზი, რომელსაც აუცილებლად გამოასწორებდა სკოლა.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, სკოლის ფილოსოფიის დახვეწისა და ექსპერტთა გუნდის მხრიდან გაცემული რეკომენდაციების შესრულების რა ეტაპზე იყო სკოლა.

სკოლის დირექტორმა, მაკა თხელიძემ განმარტა, რომ სკოლის ფილოსოფიის დახვეწასა და რეკომენდაციების შესრულებაზე სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს რა ეტაპზე იყო სკოლის შენობის რეგისტრაციისსაკიტხი. სკოლის დირექტორმა, მაკა თხელიძემ განმარტა, რომ საკადასტრო კოდში იყო მცირე უზუსტობა, კერძოდ გარე სპორტული მოედანი არ იყო განსაზღვრული, შესაბამისად სკოლას ესაჭიროებოდა ნებართვა, რომ ახალი აზომვითი ნახაზი გაეკეთებინათ, რის საფუძველზეცსპორტული მოედნის ფართი =გადაეცემოდა სკოლას მფლობელობაში. აღნიშნულთან დაკავშირებით პროცედურები სკოლას უკვე დაწყებული ჰქონდა.

საბჭომ იმსჯელა სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების აზღვრული რაოდენობის 240-ით განსაზღვრის საკითხზე, ვინაიდან სკოლა არ ფლობდა აღნიშნული რაოდენობის სასკოლო მერხსა და სკამს. საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, რომელიც ამავდროულად გახლდათ ძველი თბილისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, გამოთქვა მზაობა და აღნიშნა რომ რესურსცენტრს ჰქონდა მერხებისა და სკამების საკმარისზე მეტი რაოდენობა და მიმართვის შემთხვევაში შეეძლო სკოლისთვის გადაეცა.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიმართავდა ESIDA-ს სასწავლო მერხების რაოდენობის შევსებასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 240 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლას(ს/კ: 230062026) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი არგვეთა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი არგვეთა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი არგვეთა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები -პირველი; მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 სტანდარტები

საბჭომ 3.4, 3.5, 3.6 და 3.7 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნის მოპოვება; შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექთნის დასაქმება და სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა; ასევე მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირება, ასევე სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სკოლის ახლად აშენებული შენობის საჯარო რეესტრში სრულად რეგისტრაცია, უზრუნველყოს სასწავლო რესურსების კატალოგისა და წიგნადი ფონდის დამუშავება საბიბლოთეკო წარმოების წესის შესაბამისად, სკოლამ უზრუნველყოს სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებულ სკოლის ვებ-გვერდზე სკოლის შესახებ სტანდარტის ინდიკატორით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება და სკოლამ უზრუნველყოს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემის დანერგვა და ზემოაღნიშნულის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენა. ასევე, წარმოადგინოს მოსწავლეთა განსაზღვრული კონტინგენტისთვის სასკოლო მერხებისა და სკამების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2. ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 27 და 28 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა დაბა ლენტეხში, სტალინის ქუჩა N111-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 180 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 180 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ განმარტა, რომ პირველი, მე-2 და მე-4 სტანდარტები შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით, ვინაიდან კომპონენტები 1.1 (სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები); 1.2 (სკოლის დაგეგმვა და განვითარება); 2.2 (კურიკულუმის განხორციელება); 2.3 (კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება); 2.4 (კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია) და 4.1 (მოსწავლეთა უფლებების დაცვა) შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მე-3 სტანდარტს (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასებული იყო ნაწილობრივი შესაბამისობით, ვინაიდან კომპონენტები 3.1 (პერსონალის მართვა); 3.3 (პროცესების მართვა); 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) შეფასდა მეტწილად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ სკოლა ახლა ფუძნდებოდა და პირველად გადიოდა ავტორიზაციის პროცესს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმდჯომარის მოადგილე თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების დასკვნასთან დაკავშირებით, რა ეტაპზე იყო სკოლა.

ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა ექსპერტს, ჰქონდა თუ არა მზაობა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში სკოლა სრულფასოვნად შეძლებდა გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებასა და შესრულებას და როდის აპირებდა სასწავლო პროცესის დაწყებას სკოლა.

ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ განმარტა, რომ შესაბამისი და კვალიფიციური ადამიანური რესურსის დახმარებით, სკოლა შეძლებდა გაცემული რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინებას, თუმცა პრობლემას წარმოადგენდა მასწავლებელთა ის კორპუსი, რომელიც არ იყო კონკურსის გზით შერჩეული.

საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი დაინტერესდა აღნიშნული სკოლა რომელიმე ძველი სკოლის ბაზაზე იყო თუ სრულად ახალი იხსნებოდა. ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ განმარტა, სკოლა ახლად ფუძნდებოდა და სკოლის შენობა გახლდათ საპატრიარქოს მფლობელობაში, რომელიც 30 წლით უსასყიდლოდ გადაეცა გიმნაზიას.

ესთეტიკური აღზრდის ექსპერტმა, ნინო როსტომაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მასწავლებლებს ჰქონდათ გარკვეული გამოცდილება სკოლაში მუშაობის და შემუშავებული ჰქონდათ კურიკულუმები.

სკოლის დირექტორმა, მიტროპოლიტმა სტეფანემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რეკომენდაციებზე სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა და ნაწილი შესრულებული იყო; რაც შეეხებოდა მასწავლებლებს, 22 დეკემბრისთვის იგეგმებოდა კონკურსის გამოცხადება. დირექტორის სურვილი იყო, რომ 2023-2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სკოლას დაეწყო ფუნქციონირება და შეძლებოდა მოსწავლეთა მიღება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიას (ს/კ: 234066346) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, დაბა ლენტეხი, სტალინის ქ.N 111
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, დაბა ლენტეხი, სტალინის ქ.N 111
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, დაბა ლენტეხი, სტალინის ქ.N 111

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - 1-ლი; მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 სტანდარტი.

საბჭომ 3.1; 3.3; 3.4 და 3.6 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება

2025 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, უნდა განისაზღვროს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები და დასაქმებულ პირებთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება, ასევე, სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილდეს იმგვარად, რომ ხელს უწყობდეს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. კერძოდ, განისაზღვროს, ვისგან არის დაკომპლექტებული ხარისხის სამსახური და ვინ ახორციელებს სამოქმედო გეგმით განსახორციელებელ სამუშაოს. აგრეთვე სტრუქტურულმა ერთეულებმა შეიმუშაოს სამუშაო გეგმები, ასევე, მასწავლებლების მიღება განხორციელდეს კონკურსის ჩატარების გზით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი''-თ გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. სკოლაში კადრების მოზიდვა და დასაქმება განხორციელდეს ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით, კერძოდ სკოლის მიერ მასწავლებლების მიღება მოხდეს კონკურსის ჩატარების გზით. ყველა თანამშრომელმა წარმოდგინოს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის ცნობა და უფლების ჩამორთმევის ცნობა, გარდა ამისა, სკოლამ უნდა შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი. 3.4 კომპონენტთან დაკავშირებით კი, სკოლამ უნდა უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა და შემუშავებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგი დაცვის წესი შეათანხმოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ასევე განსაზღვროს სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი, დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის და მონიტორინგის მექანიზმები. რაც შეეხება 3.6 კომპონენტს, სკოლაში საქმისწარმოება განხორციელდეს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით. ასევე გააფორმოს ხელშეკრულება ელექტრონული ჟურნალის გამოყენებაზე, სკოლამ განახორციელოს საზოგადოების ინფორმირება ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით და ზემოაღნიშნულის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენა.

17:00 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ, ვინაიდან საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თამარ მამსიკაშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ შეძლებდა პროცესის გაგრძელებას, სხდომის ხელმძღვანელობა განაგრძო საბჭოს წევრმა ზვიად გოგუაძემ.

3. სსიპ - ილია შავერდოშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისელის სა ჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა მაკა მამფორიამ განმარტა, რომ ვერ მიიღებდა აღნიშნული სკოლის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას, ვინაიდან ის თანამშრომლობდა სკოლასთან.
სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად გოგუაძემ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ილია შავერდოშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისელის საჯარო სკოლის ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 23 და 24 ოქტომბერს. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ორ მისამართზე. სკოლა მდებარეობდა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისელში, რომელშიც ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ხოლო სოფელ შაქრიანის შენობაში ახორციელებდა დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 360 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 360 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა განმარტა, რომ 1-ლი და მე-4 სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასებული იყო შესაბამისობით, ხოლო მე-2 სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა მეტწილად, ვინაიდან კომპონენტები 2.2 (კურიკულუმების განხორციელება) შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მე-3 სტანდარტს, შეფასებული იყო ნაწილობრივი შესაბამისობით, ვინაიდან კომპონენტი 3.1 (პერსონალის მართვა); 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება); 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) შეფასდა მეტწილად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა საინფორმაციო ტექნოლოგიების ექსპერტს, როგორ ხორციელდებოდა საინფორმაციო ტექნოლოგიების კურიკულუმები სკოლის მეორე, სოფელ შაქრიანის მისამართზე.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ექსპერტმა, თეა ღვინიანიძემ აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა კომპიუტერული ლაბორატორია და კურიკულუმების განხორციელება საინფორმაციო ტექნოლოგიებში მრავალი ხარვეზით მიმდინარეობდა. ამის საპასუხოდ, ზვიად გოგუაძემ მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ხომ არ გადაუდგავთ კონკრეტული ნაბიჯები ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.

სკოლის დირექტორმა, კონსტანტინე ცხოვრებაძემ განმარტა, რომ კომპიუტერული ლაბორატორიის პრობლემის აღმოფხვრა სკოლას დაწყებული ჰქონდა, კერძოდ, სკოლამ მიიღო 34 კომპიუტერი, რაც საკმარისი იყო კურიკულუმით გათვალისწინებული გეგმის შესასრულებლად. ხოლო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიმართული ჰქონდა სკოლას სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთვის და ელოდებოდა გარკვეულ ნაბიჯებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია შავერდოშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისელის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 360 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 9
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ ილია შავერდოშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისელის საჯარო სკოლას(ს/კ: 241572507) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 360 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტი სოფელი ენისელი, სოფელი შაქრიანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტი სოფელი ენისელი, სოფელი შაქრიანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტი სოფელი ენისელი, სოფელი შაქრიანი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - 1-ლი; მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 სტანდარტი.

საბჭომ 3.1; 3.4; 3.6 და 3.7 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება

2025 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, სკოლამ უნდა უზრუნველყოს ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის დასაქმება, უზრუნველყოს სოფელ ენისელსა და სოფელ შაქრიანში მდებარე ორივე შენობის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებსათან, ასევე, მოიპოვოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნა. მოიპოვოს შენობის ექსპლუატაციის (მდგრადობის) შესახებ დასკვნა და ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შაქრიანში არსებულ შენობაში უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის (პუნქტი) ფუნქციონირება და ექიმი/ექთნის დასაქმება, ასევე სკოლამ უნდა უზრუნველყოს ვებგვერდის ფუნქციონირება.

4. სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად გოგუამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ აბაზაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა წალკის რაიონის სოფელ იმერში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 60 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 60 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, თამარ აბაზაძემ განმარტა, რომ 1-ლი, მე-2 და მე-4 სტანდარტები შეფასდა შესაბამისობით, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივად, ვინაიდან, კომპონენტები 3.1 (პერსონალის მართვა); 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ასევე მეტწილად შეფასდა 1.2 (სკოლის დაგეგმვა და განვითარება) კომპონენტი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
სხდომის თავმჯდომარე, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა, სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებით, რომელიც სკოლას სამოქმედო გეგმაში ჰქონდა გაწერილი, ხომ არ იყო რაიმე ნაბიჯი გადადგმული.

სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, ზურაბ ვანაძემ განმარტა, რომ მოსწავლეთა სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებისთვის აქტიურად მუშაობდა სხვადასხვა საგნის მასწავლებელი და თითოეულ მათგანს ჰქონდა პრაქტიკული დავალებები ამ მიმართულებით.
საბჭოს წევრი ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, როდის განხორციელდა სკოლის რეაბილიტაცია და ვის მიერ.
ექსპერტმა, თამარ აბაზაძემ განმარტა, რომ სკოლის რეაბილიტაცია განხორციელდა 2021 წელს, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ იმერის საჯარო სკოლას(ს/კ: 243124579) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	წალკის მუნიციპალიტეტი სოფელი იმერი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	წალკის მუნიციპალიტეტი სოფელი იმერი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	წალკის მუნიციპალიტეტი სოფელი იმერი

საბჭომ 1.2; 3.1; 3.3; 3.5 და 3.6 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, სკოლამ უნდა უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით, ერთწლიან სამოქმედ გეგმაში განსაზღვროს შესრულების რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამის რესურსები, ასევე უზრუნველყოს იდენტიფიცირებული პირების მიერ კანონმდებლობი დადგენილი ცნობების მოპოვება და შექმნას ხარისხი უზრუნველყოფის პოლიტიკა. ასევე, სკოლამ უნდა უზრუნველყოს ვაკანსიის განთავსებ ბიბლიოთეკარის პოზიციაზე და შესაბამის კადრის შერჩევა; წიგნადი ფონდის აღრიცხვიანობის მოწესრიგება; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შემუშავება, ასევე, შეიმუშავოს საქმისწარმოები წესი და უზრუნველყოს ვებ გვერდზე სკოლის სრულყოფილი ინფორმაციი განთავსება და ზემოაღნიშნულის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენა.

17:40 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია.

5. სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრებმა, მაკა მამფორიამ და ქეთევან ნატროშვილმა განაცხადეს, რომ ისინი ვერ მიიღებდნენ აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდათ ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24 და 25 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N18 (გლდანი „ა“ მ/რ). სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1150 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და

ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.1, 3.4 და 3.5 „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ ყურადღება გაამახვილა პრეზენტაციის დროს ექსპერტის მიერ აღნიშნულ უსაფრთხოების საკითხზე, კონკრეტულად კი ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარეობდა კერძო სკოლა და ასევე სამუსიკო სკოლაც, სკოლის ეზოს გამიჯვნასთან დაკავშირებით და სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სკოლის მიერ ESIDA- სთან განხორციელებული მიწერილობის შემდეგ, მოცემული დროისთვის თუ იყო რაიმე სახის სიახლე. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მიმოზა მაისურაძემ აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მიწერილობა ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან. ინფრასტრუქტურის სააგენტოსგან მიღებული პასუხის თანახმად, 2024 წელს სკოლა ელოდებოდა ექსპერტების მიერ ტერიტორიის ადგილზე შესწავლას და შესაბამისი ზომების მიღებას. ზვიად გოგუაძემ სკოლის დირექტორს მიმართ კითხვით, რამდენად შესაძლებელი იყო აღნიშნული პრობლემის მოგვარება 2024 წლის დეკემბრამდე. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მიმოზა მაისურაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის მოგვარება 2024 წლის დეკემბრამდე, დიდი ალბათობით, შესაძლებელი იქნებოდა. ზვიად გოგუაძე დაინტერესდა სკოლის სხვა ფართებისგან გამიჯვნის შემთხვევაში მოხდებოდა თუ არა რაიმე ტიპის ცვლილება რეგისტრირებულ მონაცემებში. მიმოზა მაისურაძის განცხადებით, გარკვეული ცვლილება ამ კუთხით აუცილებლად მოხდებოდა. მან ასევე აღნიშნა,
რომ ვიზიტის დროს ექსპერტებისგან მიღებული რჩევები და რეკომენდაციები სკოლას მოცემული დროისთვის უკვე გათვალისწინებული ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
ცენტრის წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს და განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლას ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდა წერილი, რომლის მიხედვითაც მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 2000. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, ჰქონდა თუ არა სკოლას შესაბამისი რესურსი. ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განმარტა, რომ სკოლას შეეძლო უზრუნველყო მოსწავლეთა აღნიშნული რაოდენობისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -9
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო

ინტერესებიდან გამომდინარე, მხარი არ დაუჭირა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლას (ს/კ: 209472729) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი. ფორე მოსულიშვილის ქუჩა N181
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი. ფორე მოსულიშვილის ქუჩა N181
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი. ფორე მოსულიშვილის ქუჩა N181

საბჭომ 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ: პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში სრულად ასახოს სკოლაში დასაქმებული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები; უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიის დაცვა უცხო პირთა უნებართვო გადაადგილებისაგან; სკოლის შენობა - ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა; სკოლის ინკლუზიური გარემოს მოწყობა და ზემოაღნიშნულის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენა.

6. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლანა ყურაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 05 და 06 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა აბასთუმანში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 400 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს"; სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 1.2, 3.1, 3.4 და 3.5 "მეტწილად" შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა, ლანა ყურაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა "მეტწილად", ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა ლანა ყურაშვილმა აღნიშნა, რომ სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად იყო ჩართული სკოლის თემი და სკოლის დადებით იმიჯზე ყველა ერთობლივად ზრუნავდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რამდენად იყო სკოლა მზად იმისთვის, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები სრულად გაეთვალისწინებინა და სკოლაში შესაბამისი პროცესები განეხორციელებინა. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, სვეტლანა ბოჩიკაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გაცემული თითოეული რჩევა და რეკომენდაცია, სკოლის მხრიდან გაზიარებული და გათვალისწინებული იყო.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს მიმართა კითხვით, რამდენად ჰქონდა სკოლას საბუნებისმეტყველო მიმართულებით კურიკულუმების განვითარების შესაძლებლობა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ნინო შუბლაძემ აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა როგორც ქიმიის, ისე ფიზიკა და ბიოლოგიის ლაბორატორიებისთვის შესაბამისი აღჭურვილობა. ექსპერტის

განცხადებით სკოლა გეგმავდა შენობის პირველ სართულზე ლაბორატორიის მოწყობას, რომელიც ხელს შეუწყობდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით საგაკვეთილო პროცესების შეუფერხებლად წარმართვას.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ვებ- გვერდზე და საქმისწარმოების წესში სკოლის ოფიციალურ მეილად წარმოდგენილი იყო სხვადასხვა მისამართი და სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რატომ ფიქსირდებოდა ორი სხვადასხვა მისამართი. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ ხსენებული ხარვეზი წარმოადგენდა მექანიკურ შეცდომას, რომელიც სკოლას მოცემული დროისთვის შესწორებული ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მხარი არ დაუჭირა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე- 4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლას (ს/კ : 222727958) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, დაბა აბასთუმანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის	საბაზო	ქართული	

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ადიგენის მუნიციპალიტეტი, დაბა აბასთუმანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, დაბა აბასთუმანი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი : 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა : ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები : სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი: ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) , სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა)

საბჭომ 3.1, 3.4, 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ: პერსონალის პირად საქმეებში შემდეგი ცნობების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი : „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, „უფლების ჩამორთმევის შესახებ“, ცნობა ნასამართლობის შესახებ; სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ სრულად პერსონალზე. შენობა - ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა; შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა; ვიდეო სათვალთვალო სისტემის მონიტორინგისთვის საჭირო ცალკე ოთახის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

7. სსიპ - ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეა გაბელაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 და 27 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ზაჰესი, თავისუფლების ქუჩა N22-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1000. ექსპერტის განცხადებით ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 978 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა, თეა გაბელაიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელთა შესახებაც გაიცა რჩევები ასახული იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა თეა გაბელაიამ სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლა ზრუნავდა არაფორმალურ განათლებაზე და ხელს უწყობდა მოსწავლეებში გადაწყვეტილების მიღების, შემოქმედებითი და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ექსპერტის განცხადებით სკოლის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა არაფორმალური სივრცეების შექმნა-მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინიციატივების გათვალისწინებით სასკოლო კლუბების და წრეების ჩამოყალიბება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში აქტიურად ხორციელდებოდა სხვადასხვა თემატიკის პროექტები და ღონისძიებები.საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით სკოლას ჰქონდა მხოლოდ რამდენიმე რჩევა. საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, როგორ ახერხებდა სკოლა ყოფილიყო ასეთი წარმატებული და რას მიიჩნევდა ის სკოლის ყველაზე ძლიერ მხარედ.
სკოლის დირექტორმა, თამარ კობახიძემ აღნიშნა, რომ სკოლისთვის წარმატების საიდუმლოს წარმოადგენდა თანამშრომლობითი გარემო. სკოლის დირექტორის განცხადებით ნებისმიერი პრობლემის დროს სკოლის თითოეული მასწავლებელი აქტიურად ერთვებოდა საკითხის გადაჭრის პროცესში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ მდგრადობის დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც სკოლაში შეინიშნებოდა გარკვეული ხარვეზები და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რას გეგმავდა სკოლა აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. სკოლის დირექტორის თამარ კობახიძის განცხადებით, სკოლას ჰქონდა მიწერილობა ინფრასტრუქტურის სააგენტოში და მოცემული დროისთვის ელოდებოდნენ მათგან შესაბამის რეაგირებას.
საბჭოს თავმდჯომარემ, დავით მალაზონიამ სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რას გეგმავდა სკოლა სამომავლოდ მეტი განვითარებისა და წინსვლის მიზნით. სკოლის დირექტორმა თამარ კობახიძემ აღნიშნა, რომ სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა არაფორმალურ განათლებას და სამომავლოდ ამ კუთხით გეგმავდა პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელებას. სკოლის დირექტორის განცხადებით ასევე იგეგმებოდა კურიკულუმების გადახედვა, დახვეწა და განვითარება.
საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა, რამდენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში მოცემული დროისთვის. სკოლის დირექტორის თამარ კობახიძის განცხადებით, მოცემული დროისთვის სკოლაში ირიცხებოდა 14 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N208 საჯარო სკოლას (ს/კ: 236087845) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ზაჰესი, თავისუფლების ქუჩა N22.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ზაჰესი, თავისუფლების ქუჩა N22.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ზაჰესი, თავისუფლების ქუჩა N22.

8. სსიპ - ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24 და 25 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, შინდისი, მანსვეტაშვილის ქ.2-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 250 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 250- მოსწავლისთვის.
რაინდი როდონაიას განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, ექსპერტის განმარეტბით, პირველი სტანდარტი, მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასებული იყო, როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მესამე სტანდარტის 3.4 და 3.5 კომპონენტები კი შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ასევე გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა რესურსოთახით და სთხოვა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა ამჟამად თუ ჰქონდა სკოლას, ვინაიდან დასკვნაში შესაბამის ინდიკატორთან მიმართებით რეკომენდაცია იყო გაცემული.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მედიკო მერზაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის ჰქონდა რესურსოთახი, თუმცა შენობაში საგანმანათლებლო პროცესს ახორციელებდა მეზობელი სკოლაც მეორე ცვლაში, შესაბამისად რესუროთახი ათვისებული ჰქონდათ მათ.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განცხადებით ამჟამად სკოლამ გამოყო შენობის მეორე სართულზე ფართი და მიმდინარეობდა რესუროთახის მოწყობა. მიმდინარე პერიოდისთვის კი სკოლას ჰყავდა 5 სსსმ მოსწავლე რომლებიც სარგებლობდნენ საბიბლიოთეკო სივრცით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად,სსიპ - ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლას(ს/კ: 226526248) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, შინდისი, მანსვეტაშვილის ქ.2
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, შინდისი, მანსვეტაშვილის ქ.2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, შინდისი, მანსვეტაშვილის ქ.2

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება და ცენტრში წარმოდგენა, ასევე რესურსოთახისა და მე-2 სართულზე ასასვლელი პანდუსის ან ლიფტის მოწყობა და აღნიშნულის შესახებ მტკიცებულების ცენტრში წარმოდგენა.

9. სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკ ითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამთა კობახიძემ. ექსპერტმა განაცხადა რომ სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 05 და 06 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა თერჯოლის მუნიციპალიტეტ, სოფელ ჩხარში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 600 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 600- მოსწავლისთვის.
თამთა კობახიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა მე-3 სტანდარტის 3.4 და 3.5 კომპონენტები შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ასევე გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს და სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინათ მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, ვინაიდან გაცემული იყო არაერთი რჩევა.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ეკა სიმსივემ განაცხადა, რომ მის მიერ სკოლისგან თავდაპირველად წარმოდგენილი კურუკულუმების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ყველა საგნის კურიკულუმში იყო კომპლექსური დავალებები მხოლოდ რამდენიმე ცნებაზე, რასთან დაკავშირებითაც გაიცა რჩევები. ასევე, რჩევა გაიცა შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით, ვინაიდან ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა ქულებზე იყო გაწერილი, ამავე დოკუმენტში შემაჯამებელი დავალების რუბრიკა, მხოლოდ განვლილი მასალის ცოდნის შემოწმებაზე იყო ორიენტირებული. ექსპერტის განცხადებით, პირველადი დოკუმენტაციის შემდეგ, სკოლამ უზრუნველყო შეცვლილი კურიკულუმების წარმოდგენა, თუმცა მაინც არ ჰქონდა მათ სრულყოფილი სახე. მიუხედავად ამისა გასაუბრებისას გამოიკვეთა პედაგოგების შესაბამისი კომპეტენცია და მზაობა გაეთვალისწინებინათ რჩევები თუ რეკომენდაციები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად,სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N1 საჯარო სკოლას(ს/კ: 232004639) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხარი
2		საბაზო	ქართული	თერჯოლის

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხარი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხარი

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ კი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გამართულად მუსაობისა და ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

10. სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ვასაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 05 და 06 ოქტომბერს. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ორ მისამართზე კერძოდ დაბა ასპინძა, რუსთაველის ქ. #7-ში, სადაც დაწესებულება ახორციელებდა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე და ასპინძის მუნიციპალიტეტ, სოფელ თოკში, სადაც დაწესებულება ასევე ქართულ ენაზე ახორციელებდა დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული

რაოდენობა შეადგენდა 600 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 600 - მოსწავლისთვის.
ნინო ვასაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი და კომპონენტები 3.1, 3.4, 3.5 შეფასდა „ მეტწილად შესაბამისად“. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს შეფასდა „მეტწილად“ შესაბამისი ვინაიდან კომპონენტი 2.2 შეფასებული იყო მეტწილ შესაბამისად დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებზე. აღნიშნული შეფასება განაპირობა სოფელ თოკში მატერიალური რესურსის სიმწერემ და ლაბორატორიების არარსებობამ.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ჭრა - კერვის შემსწავლელი კლუბი. სკოლა აპირებდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას. დაწესებულება ასევე ზრუნავდა განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე მაღალმთიან სოფელში, ინარჩუნებდა სასწავლო კორპუსს, რომელშიც სწავლობდა ორი მოსწავლე და წლების წინ დაკეტილი სკოლის აღსადგენად არ იშურებდა ძალისხმევას. ექსპერტმა ასევე გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა, ინფრასტრუქტურულ მატერიალურ და ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებული რეკომენდაციები გაცემული იყო თუ არა მხოლოდ სოფელ თოკში არსებულ შენობასთან მიმართებით და სკოლის წარმომადგენელს სთხოვა აეხსნა რა ეტაპზე იყო რეკომენდაციების შესრულების პროცესი.
ექსპერტმა, ნინო ვასაძემ დაადასტურა აღნიშნული. სკოლის დირექტორმა, კლარა ზედგენიძემ კი განაცხადა, რომ სოფელ თოკში ცხოვრობდა 11 ოჯახი, სკოლის გახსნა კი მოხდა ახლად გადმოსული ოჯახის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც ჰყავდა 5 შვილი. დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლის მთავარი შენობის გამოყენება იყო შეუძლებელი ამიტომ მოხდა დამხმარე შენობის გარემონტება, რათა სოფელში მცხოვრებ სამ მოსწავლეს მიეღო განათლება. მისი განცხადებით, სოფელში არსებული მდგომარეობა, რომელიც გამოწვეული იყო შესამაბისი პირობების არქონით, გავლენას ახდენდა სკოლის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებაზეც. სკოლამ უკვე მიმართა შესაბამის ორგანოებს რომ მომხდარიყო სკოლის რეაბილიტაცია და შენარჩუნებოდა ის სოფელს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა აეხსნა როგორ ხდებოდა სოფელ თოკში არსებულ სკოლაში ყველა საჭირო რესურსის მიწოდება მოსწავლეებისათვის.
სკოლის დირექტორის, კლარა ზედგენიძის განცხადებით სკოლაში ყველა საგნის მასწავლებელი იყო გარდა ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და გეოგრაფიისა, ვინაიდან კონკურსის გამოცხადების შემდეგ ვერ მოხდა შესაბამისი კადრის მოძიება. აღნიშნულ საგნებში რესურსცენტრთან შეთანხმებით, ტარდებოდა ონლაინ გაკვეთილები და მასწავლებლები აქტიურად იყენებდნენ ვირტუალურ ლაბორატორიასა და სხვა რესურსებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მხარი არ დაუჭირა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად,სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლას(ს/კ: 223104263) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დაბა ასპინძა, რუსთაველის ქ. N7 / ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი თოკი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დაბა ასპინძა, რუსთაველის ქ. N7 / ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი თოკი
3		საშუალო	ქართული	დაბა ასპინძა, რუსთაველის ქ. N7 / ასპინძის

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			მუნიციპალიტეტი, სოფელი თოკი

3.1, 3.4, 3.5, 2.2 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე კერძოდ, 3.1 კომპონენტთან მიმართებით სკოლამ უნდა უზრუნველყოს 2020 წლის შემდეგ დასაქმებულთა მხრიდან უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობების წარმოდგენა და სკოლაში დასაქმებული ექიმის კვალიფიკაციის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. 3.4 კომპონენტთან მიმართებით სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობისა და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება, თოკის სასწავლო ფართის სამედიცინო ოთახით/პუნქტით და შესაბამისი სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან თოკის სასწავლო ფართზე. სკოლამ აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით უნდა უზრუნველყოს თოკის სასწავლო ფართის კამერებით აღჭურვა და უზრუნველყოს ასევე თოკის სასწავლო ფართზე საპირფარეშოს კეთილმოწყობა. 3.5 კომპონენტთან მიმართებით სკოლას განესაზღვრა დაბა ასპინძაში მდებარე სასწავლო ფართზე არსებული კორპუსებისთვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ლიფტის უსაფრთხოების კომპონენტის შესაბამისობის დეკლარაციის მოპოვება და სოფელ თოკში მდებარე სასწავლო კორპუსში ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობა. 2.2 კომპონენტთან მიმართებით კი სკოლამ უნდა უზრუნველყოს თოკის სასწავლო ფართზე ლაბორატორიების და სპორტული დარბაზის მოწყობის უზრუნველყოფა და ზემოაღნიშნულის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენა.

11. სსიპ - ქალაქ თბილისის N191 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეა ელერდაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N191 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 19 და 20 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა თბილისში, დავით ჯაბიძის ქუჩა N30-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1700 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1700-მოსწავლისთვის.

თეა ელერდაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, ოთხივე სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ გარკვეულ ინდიკატორებთან დაკავშირებით, გაცემული იყო რჩევები რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურებოდა სკოლის სოციო - კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლა კარგად იცნობდა ადგილობრივ თემს და ზრუნავდა მოსწავლეთა შემოდინებაზე, აქტიურად თანამშრომლობდა ახლოს მდებარე საბავშვო ბაღთან. სკოლა პოზიტიური გარემოთი, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო საქმიანობით ქმნიდა სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლას ჰქონდა სააქტო დარბაზი, რომელიც გამოყენებოდა სხვადასხვა ღონისძიებების, კონფერენციების, კონკურსებისა და ინტელექტუალური ვიქტორინებისთვის. სკოლას ჰქონდა ასევე გარე და შიდა სპორტული მოედანი სადაც მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სპორტულ აქტივობებში.

ექსპერტმა ასევე გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა და აღნიშნა რომ იგი შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის დოკუმენტაციაში მათემატიკის მიმართულებით წარმოდგენილი იყო მხოლოდ მეათე და მეთორმეტე კლასის კურიკულუმები. საბჭოს წევრმა საგნობრივ ექსპერტს სთხოვა ინფორმაცია წარმოედგინა საბჭოსთვის მეთერთმეტე კლასის კურიკულუმთან დაკავშირებით.

მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, გიორგი ბერძულიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლამ უზრუნველყო კურიკულუმის წარმოდგენა ვიზიტის განმავლობაში და პედაგოგებთან ერთად მოხდა მისი შინაარსის დაწვრილებით განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა განიხილა თუ არა სკოლამ ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევები.
სკოლის დირექტორმა, თინათინ ბაქრაძემ განაცხადა, რომ სასკოლო საზოგადოებამ უკვე განიხილა და გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ყველა რჩევა. კერძოდ კურიკულუმებსა და მესამე სტანდარტთან დაკავშირებული საკითხები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N191 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1700-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად,სსიპ - ქალაქ თბილისის N191 საჯარო სკოლას(ს/კ: 209469092) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1700 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, დავით ჯაბიძის ქუჩა N30
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, დავით ჯაბიძის ქუჩა N30
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, დავით ჯაბიძის ქუჩა N30

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 19:35 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს წევრი - საბჭოს სხდომის
თავმჯდომარე
ზვიად გოგუაძე



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა